მარი ყალაბეგაშვილი[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
DOI: https://doi.org/10.52340/sou.2023.19.60

დაწყებითი საფეხურის (V-VI კლასების) ისტორიის თემატიკა საქართველოსა და ესტონეთის ზოგადი განათების ეროვნულ სასწავლო გეგმებში (შედარებითი ანალიზი)

აბსტრაქტი. ნაშრომის მიზანია, განხილულ იქნას ისტორიის სწავლების თემატიკა საქართველოსა და ესტონეთის ზოგადი განათლების სასწავლო გეგმებში დაწყებით საფეხურზე. განვიხილავთ რამ განაპირობა ესტონური მოდელის ასეთი წარმატება და მიუხედავად უამრავი რეფორმისა, რატომ არ ამართლებს იგივე მოდელი საქართელოში. განათლების ესტონური მოდელის განხილვას მიძღვნილი აქვს უამრავი სტატია, თუმცა დეტალური კვლევა ისტორიის თემატურ-კალენდარული გეგმების საფუძველზე ჯერ არ ჩატარებულა. სტატიაში თავმოყრილია სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევების შედეგები და მათი ანალიზი, განხილულია საზოგადოებრივი მეცნიერებების სტანდარტები და მოცემულია მათი მსგავსება - განსხვავება.

კვლევის მეთოდები: სტატიაში გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი კვლევის, მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის მეთოდები. კვლევებმა აჩვენა, რომ ეს მოდელი საქართველოში არ ამართლებს, რადგან ჩვენი საზოგადოება რთულად იღებს რეფორმებსა და სიახლეებს.

კვლევის სიახლე/ღირებულება. სტატიაში შესწავლილი და შედარებულია ესტონეთის სახელმწიფოს მიდგომები დაწყებით საფეხურზე ისტორიის სწავლების საკითხისადმი. ნაშრომს აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა და შეიძლება გამოადგეს განათლების დარგით დაინტერესებულ მკვლევრებს, მასწავლებლებს და სტუდენტებს.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული სასწავლო გეგმა, განათლების თანამედროვე მიდგომები, განათლების ესტონური მოდელი, რეფორმები.

---

[1] **მარი ყალაბეგაშვილი.** სოხუმის სახელმწიფო დოქტორანტი. ქ. თბილისის 88-ე საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებელი.

Mari kalabegashvili[2]
Sokhumi State University

Themes of teaching history of the primary level (grades V-VI) according to the national curricula of Georgia and Estonia

Abstract. Purpose- This study aims to examine the process of teaching history at the primary level in the general educational curricula of Georgia and Estonia. The reasons of such success of the Estonian model will be discussed here and also why, despite numerous reforms, the same model is not working in Georgia. Different articles are devoted to the discussion of the Estonian model of education, However, detailed research based on thematic-calendar plans of history has not yet been conducted. The article summarizes the results of studies conducted at different times and their analysis, the standards of the social sciences are discussed, and also their similarities and differences are given here.
*Methodology***.** The article uses content analysis of sources, as well as methods of historical-comparative research, data processing and analysis.
*Findings***.** Studies have shown that this model doesn't work properly in Georgia, because our society finds it difficult to adopt reforms and innovations.
Originality/value. First of all, there will be discussed Estonian approaches in general education, then we will talk about teaching a concrete subject (history) according to the subject standards and finally, we are going to discuss the reasons for the failure of this model in Georgia. The practical significance of the paper is to introduce modern approaches of education to those, who are interested in educational researches, teachers and students on the example of the Estonian model.
***Keywords*:** National curriculum, modern approaches to education, Estonian model of education, reforms.

ძირითადი კვლევა. დღეისათვის უკვე აღარ დაობენ იმაზე, რომ ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს ინტეგრაცია არის ყველაზე მოწინავე და აუცილებელი საკითხი. ეს გახლავთ სივრცე, რომელიც სულ ღიაა ინოვაციებისა და სიახლეების მიმართ. ტარდება კვლევები, ექსპერიმენტები, ხდება ახალი მიდგომებისა და მეთოდების შესწავლა და მხოლოდ ამის შემდეგ ინერგება ისინი საგანმანათლებლო სისტემაში. ჩვენი ქვეყანაც, შეძლებისდაგვარად, ცდილობს არ ჩამორჩეს ამ ინოვაციებს და ფეხი აუწყოს მათ სვლას [ბოლქვაძე, 2014: გვ. 24-32], იცვლება სტანდარტე-

[2] **Mari Kalabegashvili**. PhD student of Sukhumi State University. St. Senior teacher of the 88th public school of Tbilisi.

ბი, ჩვენმა სისტემამ გაიარა პროფესიული განვითარების სქემა, აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა მასწავლებელთა გადამზადებისა და ახალი პროფესიური უნარების დანერგვის მიზნით, ტარდება უამრავი ტრენინგი.

სკოლები ჩართულნი არიან „ახალი სკოლის მოდელში", რომელიც ითვალისწინების მეტ ციფრულ სივრცესა და კომპლექსურ სავარჯიშოებს. თითქოს ყველაფერი მიდის ევროპული განათლების სისტემისკენ, უფრო კონკრეტულად კი ჩვენი ქვეყანა აქტიურად იყენებს ესტონური განათლების მოდელს.

რადგან ჩვენი დღევანდელი განსახილველი თემაა ისტორიის სწავლების თემატიკა საქართველოსა და ესტონეთის ზოგადი განათლების ეროვნულ სასწავლო გეგმებში, ორიოდე სიტყვით განვიხლავთ სასკოლო განათლების რა მოდელს იყენებს ესტონეთი, რაშია მისი წარმატების საიდუმლო, შეუძლია თუ არა საქართველოს მისი გაზიარება და რატომ გადაიღო ის არა მხოლოდ საქართველომ, არამედ მსოფლიოს უამრავმა ქვეყანამ. შევადაროთ ის ქართულ სასკოლო განათლების მოდელს და ისტორიის სტანდარტის მაგალითზე განვიხილოთ ამ საგნის სწავლება, მასთან დაკავშირებული სირთულეები და ბოლოს, ვეცადოთ დავადგინოთ მიზეზი, თუ რატომ ვერ მუშაობს ეს მოდელი საქართველოში ისე, როგორც სხვა ქვეყნებში.

ესტონეთში სკოლების მართვა მკაცრად დეცენტრალიზებულია და მოიცავს ორ დონეს: სახელმწიფოსა და მუნიციპალურს. მთავრობა და განათლების საერთდროულად არიან პასუხისმგებელნი განათლების ეროვნულ პოლიტიკაზე და განათლების სისტემის ზოგად სტრატეგიებზე. განათლების მიღებას უზრუნველყოფენ: სახელმწიფო, რომელიც დომინანტია პროფესიულ განათლებაში, მუნიციპალიტეტები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სკოლამდელ და ზოგად განათლებაზე და კერძო სკოლები, რომელთა რაოდენობა არც თუ ისე ბევრია. ბავშვების უმრავლესობა სწავლობს საჯარო სკოლებში. სკოლის საქმეებში ჩართულობის მაჩვენებელი უმაღლეს ნიშნულს აღწევს. საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მიღწევები ამ ქვეყანას საუკეთესო აქვს ევროპაში. ბავშვების ციფრული ცოდნისა და წიგნიერების დონე OECD-ის (Organisation for Economic Co-operation and Development) საშუალო მაჩვენებელს სცდება [Estonian Curriculum, 2014, Educational System, chapter one: გვ.35].

რაც შეეხება საქართველოს, ზოგადი განათლება რეგულირდება საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ" და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ", ასევე მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმით

და სხვა კანონქვემდებარე აქტებით. სრული ზოგადი განათლება მოიცავს 12 წელს და ხორციელდება სამ საფეხურზე: დაწყებითი(I-VI), საბაზო(VII-IX) და საშუალო(X-XII). ზოგადი განათლების მიცემის უფლება სახელმწიფოს პრეროგატივაა. ამისათვის სასწავლო დაწესებულებამ უნდა გაიაროს ავტორიზაცია. ასევე, სახელმწიფო ადგენს ეროვნულ სასწავლო გეგმას, რაც მოიცავს სასწავლო პროგრამების აუცილებელ მინიმუმს. რაც შეეხება სასწავლო პროცესს და სკოლის ცხოვრების მენეჯმენტს, ამ საკითხებისთვის არსებობს სამეურვეო საბჭო, რომელშიც შედიან პედაგოგები, მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები. სწორედ მის ფუნქციას შეადგენს დირექტორის არჩევა, სკოლის ბიუჯეტის განკარგვა, შინაგანაწესის დამტკიცება და ა.შ. [კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005].

ესტონეთში ბავშვი სკოლაში 7 წლის ასაკში მიდის. აუცილებელია, რომ სკოლა ახლოს იყოს სახლთან. სუსტი მოსწავლეების მიმართ ესტონელებმა ფინური მოდელი გამოიყენეს. ვისაც მაღალი აკადემიური მოსწრება არ უფიქსირდება, ის კლასში არ რჩება. მათთვის ადგენენ ინდივიდუალურ პროგრამას ან ცალკე ამეცადინებენ მათ [კახურაშვილი,2020].

ვნახოთ რა სიტუაციაა ამ მხრივ საქართველოში. ჩვენთან, მოსწავლე სკოლაში შედის 6 წლის ასაკიდან. ეს კანონი სულ ცოტა ხნის წინ ამოქმედდა, რადგან იყო შემთხვევები როდესაც პირველ კლასელთა უმრავლეოსბას 5 წლის ბავშვები შეადგენდნენ. ალბათ დამეთანხმებით, ეს ასაკი საერთოდ შეუსაბამობაშია სასკოლო ასაკთან. ამ ასაკის ბავშვებს უჭირთ მერხზე ჯდომა, ვერ აცნობიერებენ სასკოლო გარემოს, არ აქვთ გამომუშავებული ელემენტარული ქცევები და ძნელად იგებენ მასწავლებლის მითითებებს. რაც შეეხება მოსწავლის კლასში ჩატოვებას, იგი შესაძლებელია და არა მხოლოდ ერთი წლით. თუ მან ვერ დაძლია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო პროგრამა მისი ჩატოვება შეიძლება მოხდეს რამდენჯერმე, მაგრამ სახელმწიფო ვაუჩერს ფარავს მხოლოს 12 აკადემიური წლით. შესაბამისად თუ ბავშვი ერთხელ ჩარჩება კლასში, მეთორმეტე კლასის საფასურის გადახდა მოუწევს მშობელს, თუ მეორედაც ჩარჩება ბოლო 2 წლის სწავლის საფასურს იხდის მშობელი და ა.შ. ეს არის, ჩემი აზრით, ერთ-ერთი უდიდესი განსხვავება ქართულ-ესტონურ განათლების მიდგომაში.

ესტონური მოდელის წარმატების ერთ-ერთ საიდუმლო პატარა სკოლები და მცირე რაოდენობის ბავშვები სახელდება. არსებობს სკოლები, სადაც 50-200 ბავშვი ფიქსირდება, კლასში მოსწავლეთა რაოდენობა 20-ს არ

აღემატება. საქართველოში იშვიათია სკოლები, სადაც კლასში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატება 20-ს. საკლასო ოთახში შეიძლება იჯდეს 29 მოსწავლე, მაგრამ 30-ის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია კლასის გაყოფა. როგორც წესი, კლასში 29 ბავშვის არსებობის შემთხვევაში, სკოლები ცდილობენ არ მიიღონ ოცდამეათე ბავშვი ასეთ კლასში, რათა თავი აარიდონ კლასის გაყოფას, რადგან ეს დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან და ხშირად სკოლას უჭირს ამ ხარჯების დაფარვა.

შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA-მ 2018 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით დაასკვნა, რომ საქართველოში განათლების დონის მაჩვენებელი 15 წლის მოსწავლეებში 2016 წელთან შედარებით მკვეთრად გაუარესდა. ამავე კვლევის მიხედვით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა სინგაპურში, ჩინეთსა და ესტონეტში. ორივე ქვეყანა იყენებს ესტონურ მოდელს [კიზივაძე, 2021].რა განაპირობებს მსგავს შედეგს ჩამოთვლილ ქვეყნებში და რატომ ვერ ხერხდება იგივე შედეგის მიღება საქართველოში მიუხედავად უამრავი რეფორმისა? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად განვიხილოთ დაწყებითი საფეხურის ესტონეთის ისტორიის სტანდარტი და შევადაროთ ის ქართულს.

სოციალური (საზოგადოებრივი) მეცნიერებების კომპეტენციების კურსი აერთიანებს შემდეგ საგნებს: ისტორია, სამოქალაქო განათლება, პირადი, სოციალური და ჯანმრთელობის განათლება და რელიგია არჩევით საგნად [Estonian Curriculum, 2014, Social Studies: გვ. 21-24]. ისტორია, ისევე როგორც საქართველოში, ისწავლება მეხუთე კლასიდან. პირად, სოციალურ და ჯანმრთელობის განათლებას საქართველოში ვიცნობთ მე და საზოგადოების სახელით. აქვე, არ შემიძლია არ ავღნიშნო თუ რამხელა წინააღმდეგობა მოჰყვა ამ საგნის სკოლებში შემოღებას. მისი სტანდარტი 2017 წლის ივლისში დამტკიცდა და გრიფიც მიენიჭა. ხოლო სწავლება 2018 წლიდან დაიწყო. საგნის შემოტანას წლების განმავლობაში აპროტესტებდა საზოგადოებისა და სასულიერო პირთა დიდი ნაწილი. ამ დისციპლინის შემოღება გადაწყდა მას შემდეგ, რაც განათლების სამინისიტრომ 2013-2015 წლებში ჩაატარა კვლევა დაწყებით საფეხურზე და აღმოჩნდა, რომ ბავშვებმა არ იციან: ქუჩაში მოძრაობის, პირადი უსაფრთხოების, ჰიგიენის დაცვის წესები. არ იციან საკუთარი უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ. ვერ იაზრებენ თუ რას ნიშნავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. ამ საგნის სწავლება ესტონეთში იწყება მეორე კლასიდან, ხოლო საქართველოში ისწავლება მესამე მეოთხე კლასებში.

რაც შეეხება სამოქალაქო განათლებას, ამ დისციპლინის სწავლება ესტონეთში იწყება მეექვსე კლასიდან. ხოლო საქართველოში სწავლებას ვიწყებთ მეშვიდე კლასიდან. მინდა ასევე შევეხო რელიგიის სწავლების საკითხს, ესტონეთში იგი ისწავლება არჩევით საგნად. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ამ საგნის სწავლება არ ხდება არც ძირითად და არც არჩევით საგნად. მიზეზად სახელდება ეთნიკური/რელიგიური უმცირესობები და მათი რელიგიური შეხედულებები.

სწავლების მისაღწევი შედეგები წარმოდგენილია სილაბუსებში, რომლებიც ემყარება კვირეულ საათებს. რადგანაც ჩვენი განსახილველ თემას წარმოადგენს დაწყებითი საფეხურის, კერძოდ კი მეხუთე-მეექვსე კლასების ისტორიის სწავლების შედარება, ამიტომ წარმოგიდგენთ კვირეულ საათებს ამ კლასებში:

საქართველო	**ესტონეთი**
1. ისტორია- მეხუთე კლასში კვირაში 2 საათი, მეექვსე კლასში - კვირაში 3 საათი	ისტორია - სწავლება იწყება მეხუთე კლასიდან კვირაში 3 საათი
2. მე და საზოგადოება- ისწავლება მეორე და მესამე კლასებში კვირაში 1 საათი	პირადი, სოციალური და ჯანმრთელობის განათლება - 2 საათი კვირაში ისწავლება მეორე კლასიდნ
3. სამოქალაქო განათლება - სწავლება იწყება მეშვიდე კლასიდან 2 საათი კვირაში	სამოქალაქო განათლება - 1 საათი კვირაში ისწავლება მეექვსე კლასიდან

მინდა ავღნიშნო, რომ საქართველოში ისტორიის შესწავლა იწყება საქართველოს ისტორიით მეხუთე კლასიდან და საგანს ჰქვია“ ჩვენი საქართველო“. სახელმძღვანელოში მოცემულია ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და ცალკეული კუთხეების დახასიათება. შეიძლება ითქვას, რომ ეს საგანი აერთიანებს არა მხოლოდ ისტორიას, ეთნოლოგიას, არქეოლოგიასა და ეთნოგრაფიას, არამედ ჰიდროგრაფიასა და გეოგრაფიასაც, რადგან საკმაოდ დეტალურად არის აღწერილი საქართველოს კუთხეები, ადგილმდებარეობა, სოფლები, ბუნებრივი რესურსები, სასარგებლო წიაღისეული და სხვა. შემდეგ გადავდივართ ანტიკურ ხანაზე და ქართველთა ეთნოგენეზზე, არგონავტებზე, ფარნავაზზე და მხოლოდ ამის შემდეგ მოდის საქართველოს ურთიერთობები მეზობელ თუ დამპყრობელ ქვეყნებთან. რაც

შეეხება ესტონეთს, დასაწყისიდავე ხდება ანტიკური ისტორიის გაცნობა და შემდეგ ჩაშლილია ესტონეთის ისტორიის საკითხები, კერძოდ პირველი დასახლებები ესტონეთში. საყურადღეობა, რომ ყველაფერის ჩვენება ხდება რუკებზე და მოსწავლეებს მოეთხოვებათ არა მხოლოდ რუკების სრულყოფილი ცოდნა, არამედ მათზე მუშაობა. ეს მოთხოვნა გვაქვს საქართველოშიც, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ იშვიათია სკოლები სადაც სისტემატიურად მიმდინარეობს რუკებზე მუშაობა.

რაც შეეხება სასწავლო მიზნებსა და შედეგებს, ისინი თითქმის მსგავსია და არის უმნიშვნელო განსხვავებები. მაგალითად: ორივე ქვეყნის სტანდარტის თანახმად აუცილებელია წელთაღრიცხვის ცოდნა, რუკების წაკითხვა და მასზე მუშაობა, თუმცა წყაროებზე მუშაობა და რუკების ცოდნა ჩვენთან უფრო ნაკლებად ხდება. ესტონეთში უფრო მეტი დრო ეთმობა წყაროების დამუშავებას და მის სანდოობაზე მსჯელობას. საერთოა ასევე საზოგადოებრივი წყობისა და კაცობრიობის განვითარების ეტაპების გავლა. მსგავსია ასევე ცალკეული ისტორიული პირების შესახებ მსჯელობა, სხვადასხვა სოცილაური ფენების როლის განხილვა. ძირითადი განსხვავება ალბათ ის არის, რომ ეს ყველაფერი ჩვენთან ხდება საქართველოს ისტორიის მაგალითზე და არა ანტიკური პერიოდის მსოფლიო ისტორიის მაგალითზე, როგორც ამას ესტონელები აკეთებენ.

უმთავრესი, რასაც ხაზი მინდა გავუსვა არის ის, რომ მასალა, რომელსაც ქართველი ბავშვები ითვისებენ 2 წლის მანძილზე ერთი საგნით, ესტონეთში გაყოფილია ცალ-ცალკე საგნებად.

ესტონეთის სტანდარტის თანახმად, ცალ-ცალკე თავებად ისწავლება უძველესი აღმოსავლეთის ქვეყნები, რომი, საბერძნეთი, ეგვიპტე, რაც საქართველოში სხვაგვარადაა. მასწავლებელი ნაკლებად იყენებს სახელმძღვანელოებს. საკითხის შესწავლა ეფუძვნება ძირითადად ინფორმაციის მოძიებას. ბავშვები თავად პოულობენ მასალას ან იყენებენ მასწავლებლის მიერ მითითებულ წყაროებს. ვთვლი, რომ საქართველოში ეს არის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა, რადგან იშვიათად ხდება დამატებითი ინფორმაციების მოძება, მისი არსებულ ცოდნასთან შედარება და დასკვნის გამოტანა. აქ ისტორიის სწავლება ძირითადად სახელმძღვანელოებზეა დამყარებული. ესტონელი ბავშვები კი თავიდანვე ეჩვევიან აზროვნებას, მსჯელობას, დისკუსიას და დასკვნების გამოტანას.

ისმის კითხვა: ამდენი მსგავსების მიუხედავად რატომ ვერ ხერხდება მსგავსი შედეგის მიღება როგორიც აქვს ესტონელებს და არა მარტო მათ,

თითქმის ყველა იმ ქვეყანას, რომელმაც ეს მოდელი დანერგა? პასუხი ალბათ მასწავლებლებმა საკუთარ დამოკიდებულებაში უნდა ვეძებოთ. ჩვენი საზოგადოება რთულად იღებს სიახლეებს, გვიჭირს ახალი მიდგომებისა და მეთოდების ათვისება. აუცილებელია მასწავლებელმა დიდი დრო დაუთმოს თვითგანვითარებას, რადგან ჩვენ ვართ გლობალური სამყაროს ნაწილი, სადაც ყოველდღიურად ინერგება უამრავი ინოვაცია, ტარდება კვლევები, იცვლება განათლების ადმინისტრირების მიდგომები და ჩვენც ვალდებულნი ვართ ფეხი ავუწყოთ ამ სვლას.

არ შემიძლია არ ავღნშნო პანდემია და მისი გამოწვევები, რომლებიც ძალიან ცუდად აისახა განათლების სისტემაზე. ქართული განათლების სისტემა არა თუ არ აღმოჩნდა მზად ამ გამოწვევისთვის, არამედ პანდემიამ გამოავლინა უამრავი ხარვეზი, განსაკუთრებით, მძიმე სოციალური ფონი. ოჯახების ნაწილი საერთოდ ვერ ახერხებს ონლაინ გაკვეთილებზე დასწრებას და უამრავ ბავშვებს, შეიძლება ითქვას შეუწყდა განათლების მიღების პროცესი. ეს პანდემია არა მხოლოდ ბავშვებზე აისახა ცუდად, არამედ მასწავლებლებზეც იქონია უდიდესი გავლენა. პრაქტიკულად შეწყდა წინსვლის პროცესი უფროსი და წამყვანი მასწავლებლებისთვის. უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო უდიდეს შეღავათს უკეთებს პრაქტიკოს მასწავლებლებს. ჩემი აზრით, პროფესია მასწავლებელი გახდა ხანდაზმული, საჭიროა ახალგაზრდა, მოტივირებული და მონდომებული კადრი, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლებში არიან ისეთებიც, რომლებიც თვლიან, რომ საბჭოთა განათლება უკეთესი იყო. შესაბამისად უჭირთ თანამედროვე მიდგომებზე გადასვლა. ვფიქრობ, სწორედ ამის შედეგია ის, თუ რატომ არ მუშაობს სათანადოდ ესტონური მოდელი ქართულ რეალობაში.

ამ ყველაფრის მიუხედავად, განათლების სამინისტრო გვთავაზობს ქართველი თუ უცხოელი ექსპერტების მეთოდოლოგიურ რჩევებს., რომელთა გათვალისწინება და დანერგვა აუცილებელია სასწავლო პროცესში. ისტორიის მასწავლებლებს შეუძლიათ განსაკუთრებული სარგებელი ნახონ აქედან, რადგან ისტორია არ მიეკუთვნება ზუსტ მეცნიერებებს. ამიტომ მეტი შესაძლებლობაა გაკვეთილები იყოს დინამიური და სახალისო. უნდა ხდებოდეს ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების შედარება, მსჯელობა, კამათი, უნდა იმართებოდეს დისკუსიები და იდებოდეს დასკვნები. სამწუხაროდ, ვითარება ამ მხრივ რადიკალურად არ შეცვლილა. ამდენი ხნის შემდეგაც კი, ჯერ კიდევ შევხვდებით ლექციური ტიპით ჩატა-

რებულ გაკვეთილებს და წიგნის ენით მოყოლილ, ერთი კუთხით დანახულ ისტორიას.თუ ადრე მასწავლებლებს მხოლოდ კონკრეტული ცოდნის გადაცემა ევალებოდათ მოსწავლეებისთვის, ახლა ეს მიდგომა შეცვლილია. ამჯერად ეს ინფორმაცია მხოლოდ საშუალებაა იმისა, რომ მოსწავლეებმა მიაღწიონ ეროვნულ სასწავლო მიზნებს და საბოლოო შედეგზე გავიდნენ. საჭიროა მიდგო-მების შეცვლა და ვფიქრობ, მხოლოდ ამის შემდეგ შიძლეზა საუბარი განათლებისა და წიგნიერების დონის ამაღლებაზე საქართველოში.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბოლქვაძე (2014) დავით ბოლქვაძე. ისტორიის სწავლება: ზოგადი ტენდენციები, ახალი მეთოდები, სასწავლო აქტივობები. The 3rd Teacher Conference "University and School"(Problems of Teaching and Education) 5-6 Desember, 2014, materials ბოლო ნახვა: 19.02.2022, 18:48

კანონი ზოგადი განათლების შესახებ (2005) ხელმისაწვდომია https://www-.matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=92 ბოლო ნახვა: 20.02.2022;

კიზივაძე (2021) თამარ კიზივაძე. განათლების სისტემა საქართველოში: რას ვაკეთებთ არასწორად? 13 იანვარი, 2021 წელი, ხელმისაწვდომია https://businessfeed.ge/ganathlebis-sistema-saqarthveloshi-ras-vakethebth-arastsorad/ ბოლო ნახვა: 19.02.2022, 18:48

დუმბაძე (2017) ლელა დუმბაძე. რატომ არის წარმატებული ესტონური მოდელი - ინტერვიუ ახალი სკოლის მოდელის" ტრენერთან, ინტერნეტგაზეთი „ბათუმელები", 4.12.2019. ხელმისაწვდომია https://batumelebi.netgazeti.ge/news/243267/ ბოლო ნახვა: 20.02.2022, 21:45

კახურაშვილი (2020) ირმა კახურაშვილი. ესტონური განათლების გამოცდილება, ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი",შაბათი, თებერვალი 19, 2022. http://mastsavlebeli.ge/?p=15578 ბოლო ნახვა: 18.02.2022;

Estonian Curriculum (2014) National curricula 2014, National curricula for basic schools, Republic of Estonia, Ministry of Education and Research https://-www.hm.ee/sites/default/files/est_basic_school_nat_cur_2014_appendix_5_final.pdf ბოლო ნახვა: 20.02.2022, 18:51